ეროვნული სასწავლო გეგმის
გზამკვლევი

(საშუალო საფეხური)

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი
და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი**



2022 წელი

შესავალი

2022-2023 სასწავლო წლიდან იწყება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საშუალო საფეხურზე.

წინამდებარე გზამკვლევი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გააზრებასა და მის საფუძველზე სასწავლო პროცესის დაგეგმვა-წარმართვაში დაეხმარება.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

- სასწავლო პროცესის ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე; სასწავლო შინაარსის/საკითხების შერჩევა და დამუშავება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით;
- სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე;
- შეფასების ორიენტირება მოსწავლის პროგრესზე;
- უპირობო პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება; სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური მონაწილეობა სასკოლო კულტურის განვითარების პროცესში.

დოკუმენტში ეს საკითხები განხილულია პედაგოგების მიერ ხშირად დასმული შეკითხვების ანალიზის ფონზე. თითოეულ შეკითხვას ახლავს სავარჯიშო, რომელიც მკითხველს მოცემული ინფორმაციის გააზრებაში დაეხმარება.

სარჩევი

1. რატომ, რა მიზნით ვასწავლით მოსწავლეს ამა თუ იმ საგანს? რა ფორმით არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებში? 5
2. როგორ ხდება სასწავლო პროცესში შედეგებზე მუშაობა? 8
3. როგორ უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით? 11
4. რა შემთხვევაში მიიჩნევა შედეგი მიღწეულად? როგორ უნდა შეფასდეს მოსწავლის მიღწევები? 13
5. როგორ ყალიბდება შუალედური მიზნები გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით? 17
6. როგორ უნდა მოხდეს სასწავლო პროცესში კონსტრუქტივისტული პრინციპების გააქტიურება? 20
7. რას ნიშნავს აქტიური სწავლა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 21
8. რას ნიშნავს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის შეძენა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 22
9. რას ნიშნავს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 23
10. რას ნიშნავს ცოდნის სამი კატეგორია? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 24
11. რას ნიშნავს სწავლის სწავლა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 25
12. როგორ უნდა მოხდეს სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურება? 26
13. რას ნიშნავს კრიტიკული აზროვნება? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 27
14. რას ნიშნავს შემოქმედებითი აზროვნება? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 28
15. რას ნიშნავს კომუნიკაცია? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 29
16. რას ნიშნავს კოლაბორაცია? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 30
17. რას ნიშნავს მოქალაქეობა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 31
18. რას ნიშნავს ხასიათი/ნებელობა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება? 32
19. როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის/სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება? 33
20. რა როლი აქვს სასწავლო პროცესში სავალდებულო პროექტს? 35
21. რა როლი აქვს სასწავლო პროცესში არჩევით საგნებს? 38
22. რატომ არის სასურველი მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება? 38

1. რატომ, რა მიზნით ვასწავლით მოსწავლეს ამა თუ იმ საგანს? რა ფორმით არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებში?



პირამიდა წარმოაჩენს მიზნების იერარქიას საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში. კერძოდ, აქ ჩანს, რომ ყველა საგნის სწავლებას გააჩნია მიზნები, რომლებიც უკავშირდება უფრო დიდ მიზნებს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში კონკრეტული საგნების სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრულია სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების სახით. მაგალითად, ისტორიაში საშუალო საფეხურისთვის (X-XII კლასები) გამოკვეთილია შემდეგი შედეგები და სამიზნე ცნებები.

ისტორიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე		
შედეგების ინდექსი	**შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
ისტ.საშ.1.	**მოსწავლემ უნდა შეძლოს:** ისტორიული წყაროს გამოყენება საკუთარი მოსაზრების/ პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი წყაროების/მტკიცებულებების აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება;	**ისტორიული წყარო** (ისტ.საშ.1,2,4,5) **დრო (ისტორიული პერიოდი)** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6)
ისტ.საშ.2.	ისტორიული მოვლენების ანალიზისას ქრონოლოგიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინების ადეკვატური გამოყენება; ისტორიულ პროცესებზე სივრცე-დროითი ასპექტების კვლევა ცვალებადობის ფენომენის გასააზრებლად;	

ისტ.საშ.3.	ისტორიული მოვლენის/პროცესების კლასიფიცირება და ტიპოლოგიური დაჯგუფება (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ნიშნით) სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და თანამედროვეობაში არსებული ტიპურად მსგავსი მოვლენებისა და პროცესების ურთიერთდაკავშირებულად განსახილველად;	**სივრცე (გარემო, ტერიტორია)** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) **საზოგადოება** (ისტ.საშ.1,2,3,4,5,6) **ძალაუფლება** (ისტ.საშ.3,4,5,6,7,8) **ისტორიული მოვლენა / პროცესი** (ისტ.საშ.3,4,5,6)
ისტ.საშ.4.	ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის/პროცესის/პიროვნების მოღვაწეობის განსხვავებულად ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება მულტიპერსპექტიული მიდგომების უპირატესობის გასააზრებლად.	
ისტ.საშ.5	ისტორიული მოვლენების და პროცესების დანახვა/შეფასება როგორც კონკრეტულ ეპოქაში მცხოვრები ადამიანების თვალით, ასევე ეპოქისგან დისტანცირებით ერთი მხრივ ეპოქის უნიკალობის, მეორე მხრივ კი უნივერსალურ იდეათა განვითარების კანონზომიერებების გასააზრებლად.	
ისტ.საშ.6	ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიან კონტექსტში გააზრება; ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით დემოკრატიის პრინციპების (კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, თანასწორობა, სამშვიდობო პროცესები) დაკავშირება სახელმწიფოებრიობასა და პატრიოტიზმთან.	

როგორ უკავშირდება ეს მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმისა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს? - თუ დავაკვირდებით, ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული შედეგი მოიცავს სამ კომპონენტს:

- **ცოდნა** - ცნება, რომელიც სიღრმისეულად უნდა გაიაზროს მოსწავლემ;
- **ქცევა** - რომლითაც შეიძლება გამოიხატოს შეძენილი ცოდნა;
- **ხედვა/ღირებულება/დამოკიდებულება/კონცეფცია** - რომელიც უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს შეძენილ ცოდნაზე დაფუძნებით.

მაგალითად, ისტორიის სტანდარტის პირველი შედეგია:

*მოსწავლემ უნდა შეძლოს **ისტორიული წყაროს გამოყენება** საკუთარი **მოსაზრების/პოზიციის დასაბუთებისთვის; ისტორიოგრაფიის** განვითარების კანონზომიერებების დაკავშირება იმის გაცნობიერებასთან, რომ ახალი **წყაროების/მტკიცებულებების** აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი მოვლენის ახლებურად გააზრება/გადაფასება”*:

ცოდნა - ცნება, რომელიც სიღრმისეულად უნდა გაიაზროს მოსწავლემ;	**“ისტორიული წყარო”**
ქცევა - რომლითაც შეიძლება გამოიხატოს შეძენილი ცოდნა;	**“საკუთარი მოსაზრების / პოზიციის დასაბუთება ისტორიული წყაროს გამოყენებით”**
ხედვა / ღირებულება / დამოკიდებულება / კონცეფცია - რომელიც უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს შეძენილ ცოდნაზე დაფუძნებით	**“გაცნობიერება”**, რომ ახალი მასალები ცვლის ძველ კონსტრუქციებს - არის დანიშნულება, რისთვისაც მოსწავლეს წყაროებისა და ისტორიოგრაფიის შესახებ ცოდნა სჭირდება.

ანუ, ისტორიის სწავლების ერთ-ერთი მიზანია ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზის საშუალებით მოსწავლემ განივითაროს კომპეტენციები, რომლებიც მას საკუთარი მოსაზრების დაცვა-დასაბუთებაში და ინფორმაციის კრიტიკულად გააზრებაში დაეხმარება.

სტანდარტის შედეგის მესამე კომპონენტი - **ხედვა / ღირებულება / დამოკიდებულება / კონცეფცია** - სტანდარტის შედეგს აკავშირებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სამიზნე ცნების სიღრმისეული გააზრება კი უვითარებს იმ კომპეტენციებს, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებით არის განსაზღვრული (მაკროცნებები, ფუნქციურ-კომპონენტური უნარები).

სავარჯიშო 1

ზემოთ მოტანილ მაგალითზე დაყრდნობით, აღწერე, რა წვლილი შეაქვს ისტორიის სწავლა-სწავლებას მოსწავლის პიროვნულ განვითარებაში.

შედეგები	**ცოდნა**	**ქცევა**	**ხედვა / ღირებულება / დამოკიდებულება / კონცეფცია**
შედეგი 1	**"ისტორიული წყარო"**	**"საკუთარი მოსაზრების / პოზიციის დასაბუთება ისტორიული წყაროს გამოყენებით"**	**"გაცნობიერება"**, რომ ახალი მასალები ცვლის ძველ კონსტრუქციებს - არის დანიშნულება, რისთვისაც მოსწავლეს წყაროებისა და ისტორიოგრაფიის შესახებ ცოდნა სჭირდება.
შედეგი 2			
შედეგი 3			
შედეგი 4			
შედეგი 5			
შედეგი 6			

სავარჯიშო 2

განათლებისა და მეცნიერების ვებგვერდზე, ზოგადი განათლების რეფორმის ბმულზე - https://mes.gov.ge/content.php?id=12725&lang=geo იპოვე შენი საგნის შედეგები და ზემოთ მოცემული მაგალითების შესაბამისად აღწერე, თუ რა როლი აქვს თითოეულ მათგანს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაში.

საგანი -

შედეგები	**ცოდნა**	**ქცევა**	**ხედვა / ღირებულება / დამოკიდებულება / კონცეფცია**
შედეგი 1			
შედეგი 2			
შედეგი 3			
შედეგი 4			
შედეგი 5			
შედეგი 6			

2. როგორ ხდება სასწავლო პროცესში შედეგებზე მუშაობა?

სასწავლო პროცესის შედეგზე ორიენტირებულად წარმართვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამიზნე ცნებებს. რა არის სამიზნე ცნება?

ნებისმიერი საგნის შინაარსი მოიცავს უამრავ ცნებას. ეს ცნებები იერარქიულ კავშირშია ერთმანეთთან. ეს იერარქია ეროვნულ სასწავლო გეგმაში ქვესაკითხების, ქვეცნებებისა და სამიზნე ცნებების სახით აღიწერება. მაგალითად ისტორიაში შემოთავაზებულია სასწავლო შინაარსის შემდეგი იერარქია:

სამიზნე ცნება	ქვეცნება	საკითხი/ქვესაკითხი
ისტორიული წყარო	არქეოლოგიური ძეგლები და არტეფაქტი	*კონკრეტული არქეოლოგიური ძეგლი/არტეფაქტი*
	ეპიგრაფიკული მასალა	*კონკრეტული ეპიგრაფიკული ძეგლი*
	ისტორიული თხზულება (მატიანე, ქრონიკა)	*კონკრეტული ნარატიული წყარო (ქართული, უცხოური)*
	დოკუმენტები	*კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტი*
	ლიტერატურული ნაწარმოებები	*კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოები როგორც ისტორიული წყარო)*
	მემუარები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა	*კონკრეტული პიროვნების მემუარები და წერილები*
	აუდიო-ფოტო-ფონო მასალები	*აუდიო-ფოტო-ფონო მასალები კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით*
დრო (ისტორიული პერიოდი)	დროის აღრიცხვის სისტემა	*დროის აღრიცხვის კონკრეტული სისტემა* (კალენდარი, პერიოდიზაციისა და წელთაღრიცხვის სისტემა)
	ისტორიული ეპოქა, არქეოლოგიური პერიოდი	*კონკრეტული ეპოქა/ ისტორიული პერიოდი*
	რომელიმე პიროვნების სახელთან გაიგივებული ეპოქა	*(მაგალითად, თამარ მეფის ეპოქა, ედოფალ ვიქტორიას ეპოქა)*
	რომელიმე მასშტაბურ ისტორიულ მოვლენასთან გაიგივებული ეპოქა	*(მაგალითად, ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა).*
სივრცე (გარემო, ტერიტორია)	ისტორიულ-კულტურული სივრცე	*კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე (მაგალითად, მეზოამერიკა, ხმელთაშუაზღვისპირეთი).*
	ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორია	კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული *(მაგალითად, სამხრეთ შუამდინარეთი, ატიკა, ლაკონია)*
	ძველად არსებული სახელმწიფოს/ იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული/ერთეულები *(მაგალითად, ქართლის სამეფოს საერისთავოები, აქემენიანთა ირანის სატრაპიები)*	ძველად არსებული სახელმწიფოს/იმპერიის კონკრეტული ადმინიასტრაციული ერთეული/ ერთეულები *(მაგალითად, ქართლის სამეფოს საერისთავოები, აქემენიანთა ირანის სატრაპიები)*

	საკულტო ქალაქები/ადგილები	*კონკრეტული საკულტო ქალაქები/ადგილები (მაგალითად, ძველი მცხეთა, ელეფოსი, „წმინდა მიწა“).*
საზოგადოება	ყოველდღიურობა (ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება)	*ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფა.*
	რელიგია	*კონკრეტული რელიგია (როგორც მსოფლმხედველობა)*
	იდეა/იდეოლოგია	*კონკრეტული იდეა/ იდეოლოგია*
ძალაუფლება	მმართველობის ფორმა	*კონკრეტული მმართველობითი სტრუქტურა*
	საზოგადოებრივი ორგანიზაცია	*კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების ისტორია*
	მმართველობის სისტემასთან დაკავშირებული რეფორმა	*მმართველობის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებული კონკრეტული რეფორმა*
ისტორიული მოვლენა / პროცესი	ისტორიული პიროვნება	*კონკრეტული ისტორიული პიროვნების მოღვაწეობა*
	რეფორმა	*კონკრეტული რეფორმა*
	აჯანყება	*კონკრეტული აჯანყება*
	რევოლუცია	*კონკრეტული რევოლუცია*
	დიპლომატიური მოლაპარაკება/ზავი/ხელშეკრულება	*კონკრეტული ზავი/დიპლომატიური მოლაპარაკება/ ხელშეკრულება*
	ბრძოლა/ომი	*კონკრეტული ბრძოლა/ომი*

პირველ სვეტში მოცემულია ექვსი სამიზნე ცნება, რომელთა სიღრმისეულ გააზრებასაც ისტორიის სწავლა-სწავლება უნდა ემსახურებოდეს. მეორე სვეტში წარმოდგენილია ამ ცნებებთან დაკავშირებული ქვეცნებები, რომლებთანაც სამიზნე ცნება ასოცირდება. მესამე სვეტში კი ჩამოთვლილია კონკრეტული საკითხები/ქვესაკითხები, რომლებზე მუშაობასაც მოსწავლე მიჰყავს სამიზნე ცნების გააზრებამდე.

მაგალითად, “ქართლის ცხოვრებაზე” (კერძოდ, თამარის ისტორიკოსის თხზულებაზე) საუბარს მივყავართ “მატიანეს”, როგორც ისტორიული წყაროს, არსის გააზრება-განზოგადებამდე.

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**	**საკითხი/ქვესაკითხი**
ისტორიული წყარო	მატიანე (ნარატიული წყარო)	*“ქართლის ცხოვრება”*

მაშასადამე, ისტორიის სწავლა-სწავლება მაშინ ჩაითვლება მიზანზე ორიენტირებულად, თუკი მასწავლებელი უბრალოდ “ქართლის ცხოვრების” დასწავლაზე კი არ იქნება ორიენტირებული, არამედ იმის გააზრებაზეც, რომ:

- “ქართლის ცხოვრების” კრებული შედგება სხვადასხვა დროს შექმნილი ისტორიული თხზულებებისგან / მატიანეებისგან;
- ასეთი მატიანეები სხვა დროსა და სხვა ქვეყნებშიც იწერებოდა;
- მატიანეს გარდა სხვა ტიპის წყაროებიც არსებობს.

საკითხი/ქვესაკითხი - “ქართლის ცხოვრება” (თამარის უცნობი ისტორიკოსი)	
საკითხის სწავლება გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებულად	საკითხის სწავლება გრძელვადიან მიზანზე ორიენტირების გარეშე
მასწავლებელი ასწავლის თამარ მეფის შესახებ; ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს, თუ რა წყაროებიდან მოგვეპოვება ინფორმაცია თამარის შესახებ, რამდენად სანდოა ეს წყაროები და სხვა რა ტიპის წყაროები არსებობს.	მასწავლებელი ასწავლის თამარ მეფის შესახებ; სახელდება კონკრეტული წყაროები და ფაქტები, თუმცა, ამას არ მოსდევს მსჯელობა წყაროების სანდოობასა და ტიპებზე.

სავარჯიშო

შეარჩიეთ თქვენი საგნიდან ერთი საკითხი/ქვესაკითხი. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ გზამკვლევში მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, რომელ ქვეცნებას და სამიზნე ცნებას უკავშირდება ეს საკითხი/ქვესაკითხი:

სამიზნე ცნება	**ქვეცნება**	**საკითხი/ქვესაკითხი**

ქვემოთ მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით აღწერეთ, რა შემთხვევაში შეიძლება ამ საკითხის/ქვესაკითხის სწავლება ჩაითვალოს მიზანზე ორიენტირებულად:

საკითხი/ქვესაკითხი	
საკითხის სწავლება გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებულად	საკითხის სწავლება გრძელვადიან მიზანზე ორიენტირების გარეშე

3. როგორ უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით?

გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით სასწავლო პროცესის დასაგეგმად უმთავრესი ამოცანაა განსხვავებების გამოკვეთა **თემას, საკითხებს** და **ქვესაკითხებს** შორის.

თემა არის სასწავლო ერთეული, რომელზე მუშაობაც დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, მაგ., 2-3 თვის განმავლობაში გრძელდება. ასეთი თემები სტანდარტებში სავალდებულოდაა განაზღვრული. მაგალითად, საშუალო საფეხურზე ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში სავალდებულო თემებია:

ისტორია	საქართველოს ისტორია
X კლასი	**X კლასი**
პრეისტორია და ძველი აღმოსავლეთი	საქართველო ქვის და ბრინჯაოს ხანაში
ანტიკური ხანა (ახ.წ. III საუკუნემდე)	საქართველო ანტიკურ ხანაში (ახ.წ. III საუკუნემდე)
გვიანანტიკური ხანა და ადრეული შუა საუკუნეები (1014 წლამდე)	საქართველო გვიანანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში (1014 წლამდე)
XI კლასი	**XI კლასი**
შუა საუკუნეები	განვითარებული შუა საუკუნეები საქართველოში
გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო	საქართველო XV-XVIII საუკუნეებში
„ხანგრძლივი XIX საუკუნე“	საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში
XII კლასი	**XII კლასი**
“ხანმოკლე XX საუკუნე“	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
	საქართველო საბჭოთა კავშირში
მსოფლიო ათასწლეულების მიჯნაზე	საქართველო და თანამედროვე მსოფლიო

აღნიშნული თემების ქვეშ შეიძლება გამოიკვეთოს მრავალი საკითხი. თუმცა, დაზუსტებას მოითხოვს, რა განსხვავებაა საკითხსა და ქვესაკითხს შორის. **საკითხი** არის სასწავლო ერთეული, რომელიც სხვადასხვა ცნებაზე შეიძლება გავიდეს, ხოლო **ქვესაკითხი** არის საკითხის ქვესიმრავლე, რომელიც ერთ კონკრეტულ ცნებაზე გადის.

მაგალითად, ისტორიაში თუკი საკითხია “თამარ მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკა”, ამ საკითხის შესწავლა მრავალ სხვადასხვა ტიპის ცოდნას მოიცავს. მაგალითად: ეპოქას, ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულებს, მმართველობით სტრუქტურებს, წინარე პერიოდში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს, საზოგადოების მახასიათებლებს და სხვა. თითოეული მათგანი წარმოადგენს ქვესაკითხს, რომელიც სხვადასხვა სამიზნე ცნებაზე შეიძლება გავიდეს.

საკითხი - თამარ მეფის საშინაო და საგარეო პოლიტიკა	
ისტორიის სამიზნე ცნებები	**ქვესაკითხი**
ისტორიული წყარო	თამარ მეფის უცნობი ისტორიკოსი (“ქართლის ცხოვრება”)
დრო (ისტორიული პერიოდი)	შუა საუკუნეები
სივრცე	ტრაპიზონის იმპერია; რუმის სასულთნო
საზოგადოება	ფეოდალური საზოგადოება
ძალაუფლება	“დარბაზი”, “ისნის კარავი”
ისტორიული მოვლენა/პროცესი	ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა; ბასიანის ბრძოლა; “ტრაპიზონის იმპერიის” შექმნა

შენიშვნა:

- *ახ ახის აუცილებელი ყველა საკითხის სწავლებისას ყველა ქვეცნება დამუშავდეს, მასწავლებელს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, ჰომელი საკითხს ჰომელი ქვეცნების გასააქტიუჰებლად / სამიზნე ცნების დასამუშავებლად გამოიყენებს;*
- *ქვესაკითხი და საკითხი ახ უნდა აგვეჰიოს ქვეცნებაში. ქვეცნება საკითხით კონკჰეტდება თემის ფაჰგლებში. მაგალითად, ქვეცნება “მატიანე” - თემაში “შუასაუკუნეები” კონკჰეტდება კონკჰეტული საკითხით - თამაჰის უცნობი ისტოჰიკოსის თხზულება.*

სავარჯიშო

თქვენი საგნის სტანდარტიდან აირჩიეთ ერთი საკითხი და ქვემოთ მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით გამოყავით, რომელ ქვესაკითხებს გამოიყენებთ რომელი სამიზნე ცნების გასააქტიურებლად და რომელ თემებსა და სამიზნე ცნებებს შეუსაბამებთ მათ.

საკითხი -			
საგან ---------- სამიზნე ცნებები	**ქვეცნება**	**ქვესაკითხი**	**თემა**

4. რა შემთხვევაში მიიჩნევა შედეგი მიღწეულად? როგორ უნდა შეფასდეს მოსწავლის მიღწევები?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, წარმოვიდგინოთ ორი მოსწავლე, რომელთაც დაევალათ შეისწავლონ ისტორიიდან ახალი საკითხი და შეასრულონ კომპლექსური დავალება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დავალება - წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ თამარის ეპოქაში. აღწერეთ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მეფის მოწინააღმდეგე ისტორიკოსის თვალით.

საკითხი, რა თქმა უნდა, უნდა მოიცავდეს ქვესაკითხებს, რომლებიც საგნის სამიზნე ცნებებს უკავშირდება და ანალიტიკურ შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში დაეხმარება.

სამიზნე ცნება	ქვესაკითხები	ანალიტიკურ შეკითხვები
ისტორიული წყარო	თამარის უცნობი ისტორიკოსი (“ქართლის ცხოვრება”)	რა წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?
დრო	შუა საუკუნეები	როდის, რომელ ისტორიულ პერიოდს უკავშირდება ეს საკითხი?
სივრცე	თბილისი, ერთიანი საქართველო	სად, რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება ეს საკითხი?
საზოგადოება	ფეოდალური საზოგადოება	როგორი იყო იმ ეპოქის საზოგადოება, რომელსაც საკითხი შეეხება? რით განსხვავდებოდა ის თანამედროვე და სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებისგან?
ძალაუფლება	“დარბაზი”, “ისნის კარავი”	როგორი იყო მმართველობითი სტრუქტურები და მისთვის ბრძოლის ფორმები იმ ეპოქაში, რომელსაც შესასწავლი საკითხი უკავშირდება? რით განსხვავდებოდა ის ძალაუფლებისთვის ბრძოლის თანამედროვე ფორმებისა და სტრუქტურებისგან?
ისტორიული მოვლენა/ პროცესი	დემნა ბატონიშვილის აჯანყება; “უგვაროთა აღზევება”; ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა.	რომელ ისტორიულ მოვლენას ასახავს საკითხი? რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქვს ამ მოვლენას სხვა ისტორიულ მოვლენებთან? რა მნიშვნელობა აქვს მას ისტორიისთვის?

რა შემთხვევაში შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პირველმა მოსწავლემ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შეასრულა დავალება, ანუ სიღრმისეულად გაიაზრა უცნობი საკითხი, მეორემ კი - არა.

ამის გაანალიზებაში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომია გვეხმარება. ამ ტაქსონომიის მიხედვით მოსწავლეს ქვესაკითხი ხუთ განსხვავებულ სიღრმეზე შეიძლება ჰქონდეს გააზრებული:

- პრესტრუქტურული
- უნისტრუქტურული
- მულტისტრუქტურული
- მიმართებითი
- აბსტრაქტული

შედეგი მიღწეულად ითვლება, თუკი მოსწავლე მიმართებით (ან აბსტრაქტულ) დონეზე იაზრებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქვესაკითხს.

პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	მოსწავლე ვერ იგებს თამარის მეფობის ამსახველ წყაროებთან დაკავშირებულ შეკითხვებს (იხ. ზემოთ მოცემული ცხრილის მე-3 სვეტი).
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლე აღიქვამს თამარის მეფობის ამსახველ წყაროებთან დაკავშირებულ შეკითხვებს, თუმცა, მისი ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება ერთი ასოციაციით.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	მოსწავლემ იცის ფაქტები თამარის მეფობის ამსახველ წყაროებთან დაკავშირებით, თუმცა, საკითხის შესახებ მისი მსჯელობა უსისტემოა, ვერ ამყარებს მიმართებებს ფაქტებს შორის, ვერ უკავშირებს ამ ფაქტებს თამარის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სხვა მოვლენებს.
მიმართებითი დონე მოსწავლეს შეუძლია: • სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება და გაანალიზება; • სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების ურთიერთდაკავშირებულად გაანალიზება; • კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონტექსტუალიზება (საგნის სხვა სამიზნე ცნებებთან დაკავშირება). • მიმართებითი დონეზე საკითხის/სამიზნე ცნების გააზრება ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგის მიღწევას. თუმცა, შესაძლებელია მოსწავლე უფრო შორსაც წავიდეს, ანუ იმ განზოგადებებისკენ, რომელიც აბსტრაქტული დონისთვისაა განსაზღვრული.	მოსწავლეს მართებულად აქვს გააზრებული ქვესაკითხის მნიშვნელობა; აკეთებს განზოგადებებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს: • ინფორმაციას წარსულის შესახებ ისტორიკოსები წყაროებიდან იღებენ; • წარსულის შესწავლისას ისტორიკოსები სხვადასხვა ტიპის წყაროებს (ნივთიერი, ეთნოგრაფიული, წერილობითი, ლინგვისტური, კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტები) ეყრდნობიან; • ყველა წყარო ერთნაირად სანდო არ არის; • წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია არაერთმნიშვნელოვანია, ამიტომ მათი ინტერპრეტაცია ისტორიკოსებს შორის დისკუსიის საგანია. მკაფიოდ ხედავს ქვესაკითხის მიმართებას თამარის მეფობის ამსახველ სხვა ქვესაკითხებთან და მათთან დაკავშირებულ სამიზნე ცნებებთან.
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს შეუძლია სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ეროვნული სასწავლო გეგმის **ზესაგნობრივ (მაკრო) ცნებებთან** დაკავშირება.	

როგორ უნდა მოხდეს მოსწავლის განმავითარებელი შეფასება? როგორ უნდა შევუწყოთ მოსწავლეს ხელი განმავითარებელი შეფასების გამოყენებით: განმავითარებელი შეფასების წარმოებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება:

- სწავლა-სწავლება და განმავითარებელი შეფასება არის განუყოფელი ნაწილი. თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება კომპლექსური დავალების შესრულებაში და ადეკვატურ უკუკავშირს აძლევს, ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი განმავითარებელ შეფასებასაც აწარმოებს. ადეკვატურ უკუკავშირში იგულისხმება (1) მოსწავლის მიღწევებისა და პრობლემების კონკრეტული აღწერა; (2) გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით პროგრესზე და სამუშაო პროცესზე მკაფიოდ ორიენტირებული კომენტარი; (3) იმის ანალიზი, თუ რა უწყობს/უშლის ხელს მოსწავლის წინსვლას. ეს ანალიზი უნდა გულისხმობდეს მასწავლებლის თვითშეფასებასაც.

- გარდა ზემოთქმულისა, მასწავლებელი ვალდებულია, მოსწავლის მიღწევების შესახებ ინფორმაცია გაუზიაროს მშობლებს, კათედრის წევრებს, სკოლის ადმინისტრაციას. საამისოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ფორმა, მათ შორის - შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარი.

როგორ უნდა მოხდეს მოსწავლის მიღწევების აღწერა? მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გზადაგზა სწავლობს ქვესაკითხებს. ამ პროცესში მას ხვდება გარკვეული ბარიერები, უშვებს შეცდომებს, რომელიც მას ხელს უშლის ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში ქვეცნებებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებლის ამოცანაა, აღწეროს ეს პრობლემები და ჩამოაყალიბოს კომენტარი მათ გასაუმჯობესებლად.

სავარჯიშო

ცხრილზე დაყრდნობით ივარაუდე, რა ტიპის პრობლემები შეიძლება შეექმნას საშუალო საფეხურის მოსწავლეს მეორე სვეტში მოცემული ქვესაკითხების გააზრებისას და მესამე სვეტში მოცემული ანალიტიკური შეკითხვების განხილვისას? გამოთქვი ვარაუდი, რა შეცდომები შეიძლება დაუშვას მასწავლებელმა ამ საკითხებზე მუშაობის პროცესში.

სამიზნე ცნება	**ქვესაკითხები**	**ანალიტიკური შეკითხვები**	**კომენტარი**
ისტორიული წყარო	თამარის უცნობი ისტორიკოსი (“ქართლის ცხოვრება”)	რა წყაროებიდან გვაქვს ინფორმაცია ამ საკითხის შესახებ? რამდენად სანდოა ეს წყაროები?	
დრო	შუა საუკუნეები	როდის, რომელ ისტორიულ პერიოდს უკავშირდება ეს საკითხი?	
სივრცე	თბილისი, ერთიანი საქართველო	სად, რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება ეს საკითხი?	
საზოგადოება	ფეოდალური საზოგადოება	როგორი იყო იმ ეპოქის საზოგადოება, რომელსაც საკითხი შეეხება? რით განსხვავდებოდა ის თანამედროვე და სხვა ისტორიული ეპოქის საზოგადოებისგან?	
ძალაუფლება	“დარბაზი”, “ისნის კარავი”	როგორი იყო მმართველობითი სტრუქტურები და მისთვის ბრძოლის ფორმები იმ ეპოქაში, რომელსაც შესასწავლი საკითხი უკავშირდება? რით განსხვავდებოდა ის ძალაუფლებისთვის ბრძოლის თანამედროვე ფორმებისა და სტრუქტურებისგან?	
ისტორიული მოვლენა / პროცესი	დემნა ბატონიშვილის აჯანყება; “უგვაროთა აღზევება”; ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა.	რომელ ისტორიულ მოვლენას ასახავს საკითხი? რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აქვს ამ მოვლენას სხვა ისტორიულ მოვლენებთან? რა მნიშვნელობა აქვს მას ისტორიისთვის?	

5. როგორ ყალიბდება შუალედური მიზნები გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით?

გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოსაყალიბებლად უმთავრესი მნიშვნელობა აქვს საგნობრივ საკითხებს. თითოეული თემის ფარგლებში უნდა შეირჩეს რამდენიმე **საკითხი/საკითხთა კლასტერი**, რომელიც თემის შინაარსსაც დააკონკრეტებს და სამიზნე ცნებების დამუშავების საშუალებასაც შექმნის. სახელმძღვანელოებში საკითხთა ასეთი ჯგუფები, როგორც წესი, თავების/ ქვეთავების სახითაა წარმოდგენილი.

სავარჯიშო

თქვენი საგნის სახელმძღვანელოს საფუძველზე გამოყავით საკითხთა ჯგუფები და თითოეული ჯგუფისთვის განსაზღვრეთ, რომელ სამიზნე ცნებას მიემართება.

თემა:		
საკითხი/ საკითხთა ჯგუფი	**ქვესაკითხი ქვეცნება**	**სამიზნე ცნება**
1.		
2.		
3.		
4.		
5.		

შუალედური სასწავლო მიზნის ჩამოყალიბებისას მეორე ნაბიჯია კომპლექსური დავალების პირობის შექმნა, რომლის საშუალებითაც მოსწავლემ ცოდნა უნდა წარმოაჩინოს საკითხის/ ქვესაკითხის შესახებ. იმისათვის, რათა კომპლექსური დავალება შუალედურ სასწავლო მიზნად ჩაითვალოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს სამ მოთხოვნას:

- განსაზღვრული უნდა იყოს, კონკრეტულად რომელ **ქვესაკითხებს** ამუშავებს და რომელ ცნებაზე / ცნებებზე ორიენტირდება კომპლექსური დავალება;
- განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული **პროდუქტი**, რომელიც უნდა შექმნას მოსწავლემ და რომლითაც უნდა დაადასტუროს ცოდნა ახალ მასალასთან ანუ ქვესაკითხებთან და საკითხთან მიმართებით;
- კომპლექსურ დავალებას უნდა ახლდეს **კრიტერიუმები** ქუდის ქვეშ - *ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ*. ეს კრიტერიუმები უნდა უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს (მკვიდრი წარმოდგენები არის დებულებების სახით ჩამოყალიბებული განზოგადებები, რომელიც შემოსაზღვრავს ცნების შინაარსს).

მაგალითად, ერთი კონკრეტული კომპლექსური დავალება ისტორიაში ასე შეიძლება გამოიყურებოდეს.

საკითხი	ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა
ქვესაკითხი	წყაროები თამარის შესახებ (სამიზნე ცნება **"ისტორიული წყარო"**)
პროდუქტი	წარმოიდგინეთ, რომ ხართ თამარის ეპოქაში მცხოვრები მემატიანე, რომელიც კეთილგანწყობილია მეფის მოწინააღმდეგე ყუთლუ არსლანის მიმართ და მხარს უჭერს „ისნის კარავის" დაარსებას. შექმენით მოკლე **„მატიანე",** სადაც ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლას თამარ მეფის უცნობი მემატიანესგან განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოაჩენთ.
შეფასების კრიტერიუმები	ნაშრომში ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ: **1.** საიდან გვაქვს ინფორმაცია თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ? **(მკვიდრი წარმოდგენა 1)**; **2.** რა ტიპის ინფორმაციას გვაძლევს თამარ მეფის შესახებ სხვადასხვა ტიპის წყაროები (მაგ.: „ქართლის ცხოვრება", ლიტერატურული თხზულებები, ნუმიზმატიკური მონაცემები, ფრესკები)? **(მკვიდრი წარმოდგენა 2)**; **3.** რამდენად სანდოა „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ინფორმაცია ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით? **(მკვიდრი წარმოდგენა 3)**; **4.** თამარის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებულ რომელ საკითხებზე შეიძლება გაჩნდეს თამარის კარის ისტორიკოსისგან განსხვავებული მოსაზრება/შეფასება? **(მკვიდრი წარმოდგენა 4)**

შენიშვნები:

- *კომპლექსური დავალებისთვის განსაზღვრული პროდუქტი უნდა იყოს ძალიან კონკრეტული; მოსწავლემ მკაფიოდ უნდა გაიგოს, რისი შექმნა ევალება, თანაც ამ პროდუქტის შექმნა უნდა გულისხმობდეს ცოდნის ტრანსფერს/გამოხატვას ახალ ფორმაში;*

სავარჯიშო

თქვენი საგნის ფარგლებში ჩამოაყალიბეთ კომპლექსური დავალების პირობა ორ ვერსიად: პირველ შემთხვევაში პროდუქტი კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული, მეორე შემთხვევაში კი - არა

კომპლექსური დავალება, სადაც პროდუქტი კონკრეტულადაა განსაზღვრული	*კომპლექსური დავალება, სადაც პროდუქტი კონკრეტულად არ არის განსაზღვრული*

- *ეთი კომპლექსური დავალებით შესაძლოა ყველა ცნება დამუშავდეს შესაბამის ქვესაკითხებზე დაფუძნებით, თუმცა, ეს სავალდებულო არ არის;*
- *შეფასების კრიტერიუმები უშუალოდ უკავშირდება მკვიდრ წარმოდგენებს;*
- *მკვიდრი წარმოდგენების კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებად გადასაქცევად საჭიროა სამი რამ:*
  - ✓ *მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც იწერება ქუდის ქვეშ - "მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ" - უნდა გადაკეთდეს ფორმულირებად ქუდის ქვეშ - "მოსწავლეს შეუძლია";*
  - ✓ *კრიტერიუმებში უნდა დაკონკრეტდეს ის საკითხები და ქვესაკითხები, რომელთა შესახებ ცოდნაც კომპლექსური დავალების საშუალებით კონსტრუირდება;*
  - ✓ *კრიტერიუმები უნდა ჩამოყალიბდეს შეკითხვების სახით, რათა იოლად იქცნენ სასწავლო ამოცანებად მოსწავლეებისთვის;*
  - ✓ *სამიზნე ცნებასთან ერთად მუშავდება ყველა მკვიდრი წარმოდგენა. დაუშვებელია მათი შერჩევითად დამუშავება სხვადასხვა დავალებებით.*

სავარჯიშო

თქვენი საგნის გზამკვლევში ნახეთ სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარ-მოდგენები. ამ მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ კრიტერიუმები კონკრეტული კომპლექსური დავალებისთვის ქუდის ქვეშ - ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ.

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	*კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები*
1.	
2.	
3.	
4.	

6. როგორ უნდა მოხდეს სასწავლო პროცესში კონსტრუქტივისტული პრინციპების გააქტიურება?

ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს, რომელსაც სასწავლო პროცესი უნდა ეფუძნებოდეს. ეს პრინციპებია: აქტიური სწავლა, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირება, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, ცოდნის სამ კატეგრიაში გააზრება, სწავლის სწავლა. ეს პრინციპები სასწავლო პროცესში ბუნებრივადაა დაცული, თუკი მასწავლებელი სწორად აყალიბებს კომპლექსური დავალების პირობას და მისი განხორციელების იცავს შემდეგ წესებს:

- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა რამდენიმე (მაგ.; 5-6) გაკვეთილს მოიცავს;
- კომპლექსურ დავალებაზე მუშაობს ყველა მოსწავლე. საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს კომპლექსური დავალების პირობის ადაპტირება კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებზე (მაგ. შეიძლება შეიცვალოს დავალების წარმოდგენის ფორმა, შეიძლება შეიცვალოს კრიტერიუმების რაოდენობა, გამარტივდეს სასწავლო რესურსი და სხვა);
- ყველა მოსწავლემ პირველივე გაკვეთილზე უნდა იცოდეს, რა კომპლექსური დავალების შესრულებას ეძღვნება მომდევნო გაკვეთილები;
- ყველა მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ თითოეულ მათგანს მოსთხოვს მასწავლებელი შესრულებული კომპლექსური დავალების წარდგენას;
- კომპლექსური დავალების პირველი ეტაპი ეძღვნება კომპლექსური დავალების ფორმას: აუცილებელია, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიგონ, რა ფორმით მოეთხოვებათ შესასწავლ საკითხთან მიმართებით საკუთარი ცოდნის წარმოჩენა;
- შეკითხვის ფორმით ჩამოყალიბებული კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები ეტაპების როლს თამაშობს სწავლების პროცესში;
- სასწავლო პროცესში ყველა აქტივობა უკავშირდება კომპლექსური დავალების შესრულებას. ეს არის "ტრადიციული სასწავლო პროცესის" ჩანაცვლება და არა ახალი ელემენტის დამატება არსებულ სასწავლო პროცესზე. ამდენად, ყველა აქტივობა, სავარჯიშო, საშინაო თუ საკლასო დავალება ემსახურება კომპლექსური დავალების შესრულებას;
- კომპლექსური დავალება საკლასო აქტივობებია და არა მოსწავლისთვის დამოუკიდებელი სამუშაოს სახით მიცემული დავალება/საშინაო დავალება. დაუშვებელია, მოსწავლემ მასწავლებლის დახმარების/ფასილიტაციის გარეშე იმუშაოს კომპლექსურ დავალებაზე;
- არ არის საკმარისი, მოსწავლემ უბრალოდ შეასრულოს კომპლექსური დავალება. დავალებაზე მუშაობისას და/ან საბოლოო წარდგენისას მან უნდა აღწეროს, რა პროდუქტი შექმნა, როგორ წარიმართა სამუშაო პროცესი, ახსნას რატომ შეასრულა დავალება ამ და არა სხვა სახით, შეაფასოს საკუთარი ნამუშევარი, დაუკავშიროს ის მის ან თანაკლასელების მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ დავალებებს.

7. რას ნიშნავს აქტიური სწავლა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

აქტიური სწავლა - არის სწავლა-სწავლების ხუთიდან ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა: ***„სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიუჰებას.*** *მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარდაიქმნება მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარდაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე".*

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს მოსწავლის კონცენტრირებას შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე და გაკვეთილზე დამუშავებული სასწავლო მასალის მნიშვნელობის გააზრებაზე. შესაბამისად, ის პასიურ მსმენელად კი არ რჩება, არამედ აქტიურად ერთვება შემოქმედებით პროცესში.

სავარჯიშო

შეარჩიეთ/მოიფიქრეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოაჩინეთ ამ დავალებაზე მუშაობის ორი სცენარი:

ა) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლას; მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას;

ბ) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს ვერ უწყობს აქტიურ სწავლას; მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლას
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს ვერ უწყობს აქტიურ სწავლას

8. რას ნიშნავს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის შეძენა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით - არის სწავლა-სწავლების ხუთიდან ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა: ***"სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.*** *ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებით ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის სწავლას შეძლებს იგი".*

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა გულისხმობს კონკრეტული პროდუქტის შექმნას, რომელიც უკავშირდება იმ ცხოვრებისეულ კონტექსტს / მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. შესაბამისად, საკითხებისა და ქვესაკითხების სახით განსაზღვრული ახალი მასალის შესაქმნელ პროდუქტთან თანდათანობითი დაკავშირება წარმოადგენს კიდეც ჩარჩოს შექმნას სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისთვის.

სავარჯიშო

შეარჩიეთ/მოიფიქრეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოაჩინეთ ამ დავალებაზე მუშაობის ორი სცენარი:

ა) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირებას;

ბ) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს ვერ უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირებას
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს ვერ უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის კონსტრუირებას

9. რას ნიშნავს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება - არის სწავლა-სწავლების ხუთიდან ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა: ***"სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა უთიეთდაკავშირებას და ორგანიზებას.*** *მეხსიერებაში ცოდნათა უთიეთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს".*

ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება ავტომატურად ნიშნავს სამიზნე ცნებაზე ორიენტირებას. საქმე ისაა, რომ ყველა კომპლექსური დავალება ეხება კონკრეტულ ქვეცნებას და ქვესაკითხს, რომელიც უკავშირდება სამიზნე ცნებებს. იგივე სამიზნე ცნებებს უკავშირდება მონათესავე ბუნების სხვა საკითხები, ქვეცნებები, ქვესაკითხები. ამ კავშირების დანახვა და გააზრება წარმოადგენს კიდეც ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

სავარჯიშო

შეარჩიეთ/მოიფიქრეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოაჩინეთ ამ დავალებაზე მუშაობის ორი სცენარი:

ა) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთ-დაკავშირებას;

ბ) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს ვერ უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთ-დაკავშირებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს ვერ უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას

10. რას ნიშნავს ცოდნის სამი კატეგორია? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ცოდნის სამი კატეგორია - არის სწავლა-სწავლების ხუთიდან ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა: ***"სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.***

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის ჰეადიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა? "

სამიზნე ცოდნას (იგივე ქვესაკითხს/საკითხს) გააჩნია სამი ასპექტი: დეკლარატიული (წესები, განმარტებები, ფაქტები), პროცედურული (პროცედურები, რომლებიც ფაქტობრივი ცოდნის დამუშავებაში გვეხმარება) და პირობისეული (კავშირი ცხოვრებისეულ კონტექსტებთან; პასუხი შეკითხვაზე - სად და როდის გამოვიყენებ ამ ცოდნას). კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი სამივე კატეგორიის ცოდნის აგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

სავარჯიშო:

შეარჩიეთ/მოიფიქრეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოაჩინეთ ამ დავალებაზე მუშაობის ორი სცენარი:

ა) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას;

ბ) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს <u>ვერ</u> უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს ვერ უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას

11. რას ნიშნავს სწავლის სწავლა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

სწავლის სწავლა - არის სწავლა-სწავლების ხუთიდან ერთ-ერთი პრინციპი, რომელსაც განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმა: ***"სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).*** *სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებათა გააზრებულად, გაცნობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეფექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში".*

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება და სავალდებულოა, რომ შექმნილი პროდუქტი ყველა მოსწავლემ წარმოადგინოს. ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, ყურადღება მიაქციოს არა მხოლოდ იმას, რას სწავლობს თითოეული მოსწავლე, არამედ იმასაც, თუ რა ხერხებსა და სტრატეგიებს იყენებს სწავლის პროცესში.

სავარჯიშო:

შეარჩიეთ/მოიფიქრეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოაჩინეთ ამ დავალებაზე მუშაობის ორი სცენარი:

ა) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს უწყობს სწავლის სწავლას;

ბ) როდესაც სასწავლო პროცესი ხელს ვერ უწყობს სწავლის სწავლას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს სწავლის სწავლას
კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს ვერ უწყობს სწავლის სწავლას

12. როგორ უნდა მოხდეს სასწავლო პროცესში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურება?

ეროვნული სასწავლო გეგმა ექვს ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს განსაზღვრავს, რომელთა გააქტიურებაც უპირობო პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. ესენია:

- კრიტიკული აზროვნება
- შემოქმედებითობა
- კომუნიკაცია
- კოლაბორაცია
- მოქალაქეობა
- ხასიათი/ნებელობა

მოსწავლე, რომელიც რეალურად ჩართულია სასწავლო პროცესში, ექვსივე ამ უნარს იყენებს ბუნებრივად და ურთიერთდაკავშირებულად.

13. რას ნიშნავს კრიტიკული აზროვნება? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, თუ რას გულისხმობს კრიტიკული აზროვნება. მასწავლებლის ამოცანაა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ჰკითხოს საკუთარ თავს: რამდენად უწყობს ხელს ჩემ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები/ პროვოცირებული შეკითხვები მეორე სვეტში მოცემული კოგნიტური ოპერაციების გააქტიურებას?

ფუნქციური უნარი - კრიტიკული აზროვნება	**კოგნიტური ოპერაციები / კომპონენტები**
დაკვირვება	გახსენება
	ამოცნობა
კანონზომიერების აღმოჩენა და განზოგადება	შედარება და დაპირისპირება (კონტრასტი)
	კლასიფიცირება
	რელევანტური და არარელევანტური ინფორმაციის იდენტიფიცირება
დასკვნების ჩამოყალიბება კანონზომიერებების საფუძველზე	პირველადი დასკვნა
	ვარაუდის გამოთქმა
დასკვნების შეფასება დაკვირვების საფუძველზე	თანმიმდევრულობის შემოწმება
	ტენდენციურობის, სტერეოტიპების, კლიშეებისა და პროპაგანდის იდენტიფიცირება
	უსაფუძვლო დაშვებების იდენტიფიცირება
	გადამეტებული განზოგადების ან მცირედ განზოგადების ამოცნობა
	დასკვნების ფაქტებით დადასტურება

სავარჯიშო

შეარჩიეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების დამუშავებაზე. მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ცოდნის კონსტრუირების მიზნით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს აქტივობები ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული ცხრილის მე-2 სვეტში წარმოდგენილი კოგნიტური ოპერაციების გააქტურებას.

14. რას ნიშნავს შემოქმედებითი აზროვნება? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, თუ რას გულისხმობს შემოქმედებითი აზროვნება. მასწავლებლის ამოცანაა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ჰკითხოს საკუთარ თავს: რამდენად უწყობს ხელს ჩემ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები/ პროვოცირებული შეკითხვები მეორე სვეტში მოცემული კოგნიტური ოპერაციების გააქტიურებას?

ფუნქციური უნარი - შემოქმედებითობა	**კოგნიტური ოპერაციები / კომპონენტები**
თავისუფლად აზროვნება	კითხვების დასმა
	იდეების გენერირება; პრობლემის გადაჭრის გზების დასახელება; ალტერნატიული პასუხების ძიება და პრობლემის გადაჭრის გზების შემოთავაზება
ფლექსიურობა	პრობლემის დანახვა და შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან
	მიდგომების მრავალფეროვნება (approach)
ორიგინალობა	უნიკალური და ახალი იდეის გენერირება
	სხვადასხვა ელემენტისგან უნიკალური კომბინაციების შექმნა
დეტალებზე ყურადღების გამახვილება	იდეების განვითარება და გამდიდრება დეტალიზაციის ხარჯზე

სავარჯიშო

შეარჩიეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების დამუშავებაზე. მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ცოდნის კონსტრუირების მიზნით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს აქტივობები ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული ცხრილის მე-2 სვეტში წარმოდგენილი კოგნიტური ოპერაციების გააქტურებას.

15. რას ნიშნავს კომუნიკაცია? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, თუ რას გულისხმობს კომუნიკაცია. მასწავლებლის ამოცანაა, მოსწავლეს საშუალება მისცეს გააანალიზოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი. ანალიზისას კი მოსწავლეს ყურადღება გაამახვილებინოს მეორე სვეტით განსაზღვრულ კომპონენტებზე.

ფუნქციური უნარი - კომუნიკაცია	**კოგნიტური ოპერაციები / კომპონენტები**
ინფორმაციის ნათლად და შინაარსიანად გამოხატვა	მიზნობრიობა (ინფორმირება, ინსტრუქტირება, მოტივირება, დარწმუნება)
	მეტყველების ტიპის შერჩევა - აღწერა, თხრობა, მსჯელობა
	აქტიური მოსმენა (კავშირის დამყარება, ნდობის მოპოვება, დიალოგში გაყოლა (ანუ მონიტორინგი), მიზნობრივი ფრაგმენტულობა)
	კონტექსტუალიზება (საკომუნიკაციო სიტუაციის გაანალიზება და გამოხატვის რელავანტური საშუალების შერჩევა (სათანადო ფუნქციური სამეტყველო ქმედების გამოყენება)
	არავერბალური სიგნალები (სხეულის ენა, მიმიკა, ჟესტიკულაცია და ა.შ.)
თავდაჯერებულობა	ღიაობა
	კეთილგანწყობა
ემპათია (სხივის თვალით დანახვა)	თვითრეფლექსია/უკუკავშირი
	ურთიერთობის მონიტორინგი
აღიარება	თანასწორობა
	პასუხისმგებლობა
	ტოლერანტობა (განსხვავებულის მიმღებლობა)
	ორიენტაცია პრობლემაზე და არა კომუნიკაციაში ჩართულ სუბიექტზე

სავარჯიშო

შეარჩიეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების დამუშავებაზე. მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ცოდნის კონსტრუირების მიზნით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს აქტივობები ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული ცხრილის მე-2 სვეტში წარმოდგენილი კოგნიტური ოპერაციების გააქტურებას.

16. რას ნიშნავს კოლაბორაცია? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, თუ რას გულისხმობს კოლაბორაცია. მასწავლებლის ამოცანაა, მოსწავლეს საშუალება მისცეს გააანალიზოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი. ანალიზისას კი მოსწავლეს ყურადღება გაამახვილებინოს მეორე სვეტით განსაზღვრულ კომპონენტებზე.

ფუნქციური უნარი - თანამშრომლობა	**კოგნიტური ოპერაციები / კომპონენტები**
ერთად მუშაობა	პირისპირ და ტექნოლოგიების გამოყენებით იდეებისა და რესურსების გაზიარების გზით
საერთო პასუხისმგებლობა	საერთო მიზანი
	ანგარიშვალდებულება შედეგთან მიმართებით
არსებითი გადაწყვეტილებები (შინაარსი, პროცესი, პროდუქტი)	წინარე ცოდნის გამოყენება გადაწყვეტილებების მიღების მიზნით
	როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება
	პროდუქტის დიზაინი, ბუნება და გამოყენებითობა
	ურთიერთდამოკიდებულება (ანგარიშვალდებულების ორი დონე - ინდივიდუალური და ჯგუფური)

სავარჯიშო

შეარჩიეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების დამუშავებაზე. მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ცოდნის კონსტრუირების მიზნით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს აქტივობები ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული ცხრილის მე-2 სვეტში წარმოდგენილი კოგნიტური ოპერაციების გააქტურებას.

17. რას ნიშნავს მოქალაქეობა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, თუ რას გულისხმობს მოქალაქეობა. მასწავლებლის ამოცანაა, მოსწავლეს საშუალება მისცეს გააანალიზოს, ვისთან და როგორ მოუხდა თანამშრომლობა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. ანალიზისას კი მოსწავლეს ყურადღება გაამახვილებინოს მეორე სვეტით განსაზღვრულ კომპონენტებზე.

ფუნქციური უნარი - მოქალაქეობა	**კოგნიტური ოპერაციები / კომპონენტები**
უზენაესი ეთიკის პრინციპები	ადამიანის ღირსება
	გაურკვევლობებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება
ანგარიშვალდებულება საზოგადოებისადმი და თანაშემოქმედებითობა	პასუხისმგებლობა
	კონფლიქტების მართვა
	კანონის უზენაესობის დაფასება
თემის პრიორიტეტების გააზრება	ლოკალური თემისთვის აქტუალური პრობლემები
	ქვეყნისთვის აქტუალური პრობლემები;
	მსოფლიოს ცოდნა და შემეცნება

სავარჯიშო

შეარჩიეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების დამუშავებაზე. მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ცოდნის კონსტრუირების მიზნით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს აქტივობები ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული ცხრილის მე-2 სვეტში წარმოდგენილი კოგნიტური ოპერაციების გააქტურებას.

18. რას ნიშნავს ხასიათი/ნებელობა? როგორ ხდება სასწავლო პროცესში მისი გააქტიურება?

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, თუ რას გულისხმობს ხასიათი/ნებელობა. მასწავლებლის ამოცანაა, მოსწავლეს საშუალება მისცეს გააანალიზოს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი. ანალიზისას კი მოსწავლეს ყურადღება გაამახვილებინოს მეორე სვეტით განსაზღვრულ კომპონენტებზე.

ფუნქციური/კომპონენტური უნარი - ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა	**კოგნიტური ოპერაციები/კომპონენტები**
იდენტობა	საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერება (ვინ ვარ მე)
	გადაწყვეტილების მიღება თვითრეალიზაციისთვის (რასთან ვაფილირდები)
თვითრეგულაცია	მიზნების დასახვა
	დაგეგმვა
	თვითეფექტურობის განცდა
	სწავლის სტრატეგიები
	მონიტორინგი და შეფასება
	დახმარებისთვის სხვებისთვის მიმართვა
თვითაქტუალიზაცია	ენთუზიაზმი ყველა საქმის მიმართ
	ავტონომიურობა
	საკუთარი თავის პოზიტიური შეფასება
	ადამიანებისა და სამყაროს მიმართ კეთილგანწყობა
	პროცესზე ორიენტირებულობა

სავარჯიშო

შეარჩიეთ თქვენი საგნიდან ერთი კომპლექსური დავალება, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების დამუშავებაზე. მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებსაც განახორციელებთ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ცოდნის კონსტრუირების მიზნით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს აქტივობები ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული ცხრილის მე-2 სვეტში წარმოდგენილი კოგნიტური ოპერაციების გააქტურებას.

19. როგორ უნდა მოხდეს კურიკულუმის/სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება?

გზამკვლევის დასკვნით ნაწილში უნდა შევეხოთ ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის / კურიკულუმის განვითარებას.

კურიკულუმი სხვა არაფერია თუ არა გზა, რომელსაც მოსწავლე სკოლაში გადის გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. ამდენად, ის, ერთი მხრივ, იგივდება საგნებთან, რომლებსაც მოსწავლე სკოლაში შეისწავლის; მეორე მხრივ, კი იმ კომპლექსურ დავალებებთან და აქტივობებთან, რომლებსაც წლის განმავლობაში ამ საგნების ფარგლებში ახორციელებს.

დოკუმენტის ფარგლებში განისაზღვრავება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. გამომდინარე იქედან, რომ ყველა სკოლას განსხვავებული შესაძლებლობები და საჭიროებები აქვს, თითოეული სკოლის კურიკულუმი უნიკალურია.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში სასკოლო კურიკულუმი განიხილება მთავარ საშუალებად:

- სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;
- სასკოლო საზოგადოების ერთიან გუნდად ჩამოსაყალიბებლად;
- სასკოლო კულტურის გარდასაქმნელად;
- ტექნოლოგიების დასანერგად;
- სკოლის ავტონომიურობის ხარისხის გასაზრდელად.

სასკოლო კურიკულუმთან მიმართებით, შინაარსის გარდა, მნიშვნელოვანია თავად ამ დოკუმენტზე მუშაობის პროცესიც. სკოლები სამინისტროსგან იღებენ რესურსებსა და ინსტრუმენტებს სასკოლო კურიკულუმის შესაქმნელად; კერძოდ, მათ განათლების სამინისტრო სთავაზობს თემატურ მატრიცებისა და კომპლექსური დავალებების ნიმუშებს. მასწავლებლებმა ეს მასალა უნდა განიხილონ და საკუთარი სკოლის საჭიროებებს მოარგონ.

რატომ სჭირდება სკოლებსა და მასწავლებლებს სასკოლო კურიკულუმის შექმნა და განვითარება? თითოეული სკოლა ყოველწლიურად ქმნის უნიკალურ პრაქტიკას, რომლის აღნუსხვასაც პედაგოგები, როგორც წესი, განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევენ. მათი ჩანიშვნის შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას რესურსი, რომელიც მომდევნო წელს დიდ დახმარებას გაუწევს მათ სწავლა-სწავლების პროცესში. სასკოლო კურიკულუმი რეალურ საგაკვეთილო პროცესში ქმედითუნარიანი, დასამახსოვრებელი აქტივობების აღნუსხვას გულისხმობს. აქ არ იწერება გაკვეთილის გეგმები და სცენარები (პასუხი შეკითხვაზე - რა აქტივობებს განვახორციელებ მომავალში?), აქ მასწავლებლები ინიშნავენ და ერთმანეთს უზიარებენ:

- კომპლექსური დავალებების (შუალედური მიზნების) მოდიფიცირებულ ვარიანტებს, რომლებიც მათი მოსწავლეებისთვის გამოდგა უფრო აღქმადი და საინტერესო;
- დამატებით რესურსებს, რომლებიც მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გამოადგათ;
- შეკითხვებს, აქტივობებს, რომლებმაც მოსწავლეებს ხელი შეუწყო სასწავლო მასალის გააზრებასა და ახალი ცოდნის შეძენაში.

წლის განმავლობაში ასეთ სტილში გაკეთებული ჩანიშვნები, ერთი მხრივ გამოკვეთს სკოლაში დამკვიდრებულ უნიკალურ პრაქტიკას, მეორე მხრივ კი ქმნის ემპირიულ გამოცდილებაზე დამყარებულ ორიგინალურ რესურსს. სასკოლო კურიკულუმის განვითარება (მისი გამდიდრება ახალი გამოცდილებით) უწყვეტი პროცესია. ამ პროცესის შედეგად დოკუმენტი წლიდან წლამდე დაიხვეწება.

სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს თავისი სპეციფიკა აქვს საშუალო საფეხურზე. გამომდინარე იქედან, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია მრავალფეროვანი არჩევითი საგნები, სასკოლო პროექტები და რეკომენდირებულია მოსწავლეების პორტფოლიოების განვითარება.

20. რა როლი აქვს სასწავლო პროცესში სავალდებულო პროექტს?

საშუალო საფეხურს დაემატა სავალდებულო პროექტებით სწავლება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში და სამოქალაქო განათლებაში.

- <u>საგნის სწავლა-სწავლების ორგანიზება</u> - პროექტის შერჩევა ხდება მოსწავლესთან შეთანხმებით. პროექტი შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად; პროექტზე მუშაობის ხანგრძლივობაა 1 სემესტრი. პროექტზე სამუშაოდ გამოყოფილია კვირაში 1 საათი. თუმცა, სკოლა/მასწავლებელი მოსწავლესთან/მოსწავლეებთან შეთანხმებით ადგენს პროექტზე მუშაობის გრაფიკს, სწავლების ფორმატს (მას შეიძლება არ ჰქონდეს მკაცრად განსაზღვრული 45 წუთიანი გაკვეთილის სახე), ის შეიძლება წარიმართოს კლუბური მუშაობის მსგავსად, იმ დოზით და იმ ფორმატით, რასაც მოსწავლის/კლასის საჭიროება მოითხოვს;

პროექტების განხორციელება ზემოხსენებულ სამ საგანში სავალდებულოა, თუმცა, ხელოვნებასა და მუსიკასთან მიმართებით სკოლას/კლასს აქვს არჩევანის შესაძლებლობა:

ხელოვნება	ან X კლასში ან XI კლასში (ჯამში საშუალო საფეხურზე 2 პროექტი)
მუსიკა	ან X კლასში ან XI კლასში (ჯამში საშუალო საფეხურზე 2 პროექტი)
სამოქალაქო განათლება	X, XI და XII კლასის I სემესტრში (ჯამში საშუალო საფეხურზე 5 პროექტი)

ამდენად, თუ კონკრეტულმა კლასმა X კლასში (I და II სემესტრებში) აირჩია მუსიკის პროექტზე მუშაობა, XI კლასში ამ კონკრეტული კლასის მოსწავლეები პროექტებს გააკეთებენ ხელოვნებაში. ხოლო თუ X კლასში კლასმა პროექტები განახორციელა ხელოვნებაში, XI კლასში - პროექტებს განახორციელებს მუსიკაში.

პროექტებზე მუშაობის პროცესში და წარდგენის დროს მოსწავლეებს მიეცემათ განმავითარებელი უკუკავშირი წერილობით და/ან ზეპირი ფორმით.

- <u>სწავლა-სწავლების მიზნები</u> - პროექტების განხორციელება მიზნად ისახავს მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოებას მათთვის საინტერესო მიმართულებით, რომელიც შესაძლოა სავალდებულოდ არ იყოს დაფარული საგნების სტანდარტებით. პროექტი ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემაზე/თემებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას. ამავე დროს, პროექტების განხორციელება მოსწავლეებს გამოუმუშავებს დაგეგმვის, თვითკონტროლის, დროის მართვის, რესურსების მობილიზების უნარებს. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის იდეა/მიზანი, თემატიკა და მოსალოდნელი შედეგები მოიაზრებდეს კავშირს სკოლის განვითარებასთან; ითვალისწინებდეს სასკოლო საზოგადოების წევრებთან თანამშრომლობას და ჩართულობას; ასევე სასურველია, პროექტის განხორციელებამ განავითაროს თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები.

- <u>სასწავლო შინაარსი</u> - **სამოქალაქო განათლებაში** შეიძლება ოთხი ტიპის პროექტი განხორციელდეს: ინფორმირება, ადვოკატირება, ქველმოქმედება, ინფრასტრქტურული პროექტები სხვადასხვა მიმართულებით. **ხელოვნებასა და მუსიკაში** პროექტები შეიძლება ემსახურებოდეს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, იყოს სამეწარმეო ტიპის პროექტი ან კვლევა (მაგ. საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეო-

ბის კვლევა და პოპულარიზაცია, საქართველოს რომელიმე მხარის ერთი კონკრეტული ძეგლის კვლევა, ეთნო-ტურიზმი და ტრადიციული მუსიკა, პერფორმანსი, ტექნიკური პროგრესის, სამეცნიერო მიღწევების გავლენა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე/მუსიკაზე, არატრადიციული მასალებისა და ტექნოლოგიების გამოყენება და სხვა). დეტალურად პროექტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ხელოვნების, მუსიკისა და სამოქალაქო განათლების პროექტების სტანდარტებში (იხ. ეროვნული სასწავლო გეგმა).

მასწავლებლებს პროექტების განხორციელების პროცესში დაეხმარებათ მასწავლებლის სახელმძღვანელოები, სადაც მოცემულია საპროექტო ნიმუშები.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები პროექტების განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით

პროექტის დასახელება -

I ეტაპი

სფეროს დახასიათება, პრობლემების იდენტიფიცირება სფეროსთან მიმართებით.

მოსწავლეების აქტივობა	საჭირო რესურსები
მოსწავლეები ირჩევენ ერთ-ერთ სფეროს, რომელიც მნიშვნელოვნად ეჩვენებათ სასკოლო თემისთვის.	სასწავლო რესურსი სფეროსთან მიმართებით, შესაბამისი საკვანძო შეკითხვებით, რომლებიც მოსწავლეებს პრობლემის იდენტიფიცირებაში დაეხმარება
მოსწავლეები ეცნობიან შესაბამის ლიტერატურას შერჩეულ სფეროსთან დაკავშირებით.	
მოსწავლეები აკეთებენ სიტუაციურ ანალიზს; საამისოდ ისინი არჩევენ შესაბამის წყაროებსა და კვლევის მეთოდებს.	

I ეტაპის შედეგად მოსწავლემ უნდა ჩამოაყალიბოს სიტუაციური ანალიზი.

II ეტაპი

იდეები და შესაძლებლობები

მოსწავლეების აქტივობა	საჭირო რესურსები
მოსწავლეები გამოკვეთენ ფორმებს აქტივობებისთვის, აყალიბებენ აქტივობების იდეებს.	პროექტების ანალოგიები სფეროსთან დაკავშირებით
მოსწავლეები ქმნიან მიზნების იერარქიას: ● პროექტის მიზანი; ● აქტივობის მიზანი.	
მოსწავლეები აყალიბებენ მოსალოდნელ შედეგებს: ● რა გავლენას მოახდენს პროექტი სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე.	
აანალიზებენ, თუ რა რესურსები სჭირდებათ დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად, რამდენად ხელმისაწვდომია ეს რესურსები	
მოსწავლეები აყალიბებენ სამოქმედო გეგმას დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად	

II ეტაპის შედეგად მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის სატიტულო ნაწილი: მიზანი, შედეგი, აქტივობა, სამოქმედო გეგმა

III ეტაპი

პროექტის განხორციელება

მოსწავლეების აქტივობა	საჭირო რესურსები
პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეები ეძებენ გადაკვეთის წერტილებს და თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადოების წევრებთან: ● სკოლის სხვა მოსწავლეებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან; ● სკოლის სხვა მასწავლებლებთან; ● სკოლის ადმინისტრაციასთან; ● გარე პარტნიორებთან (საჭიროების შემთხვევაში).	ფუნქციურ-კომპონენტური უნარების შესახებ რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს ასწავლის, როგორ იურთიერთონ საზოგადოების წევრებთან გამოკვეთილ სფეროსთან მიმართებით: ● შემოქმედებითობა; ● კომუნიკაცია; ● კოლაბორაცია; ● მოქალაქეობა; ● ხასიათი/ნება; ● კრიტიკული აზროვნება.
მოსწავლეების წარადგენენ პროექტებს სასკოლო საზოგადოების წინაშე.	

პროექტის შედეგების პრეზენტაცია.

IV ეტაპი

მდგრადობა და მომავლის გეგმები

მოსწავლეების აქტივობა	საჭირო რესურსები
მოსწავლეები სასკოლო საზოგადოების წევრებთან ერთად აფასებენ პროექტის შედეგებს და გეგმავენ, რა არის საჭირო მდგრადობის უზრუნველყოფისთვის.	

21. რა როლი აქვს სასწავლო პროცესში არჩევით საგნებს?

2022-2023 სასწავლო წლიდან სკოლებისთვის თანდათანობით შეთავაზებულ იქნება მრავალფეროვანი არჩევითი კურსები ყველა საგნობრივი მიმართულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეს ექნება ფართო არჩევანი, ცხრილი დააკომპლექტოს მისთვის საინტერესო სფეროებით.

განსხვავებით არსებული არჩევითი კურსებისგან, ახალი კურსები მოიცავს არა მხოლოდ სტანდარტებს, არამედ სასწავლო რესურსებს მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. არჩევითი საგნების სწავლება შესაძლებელია მოხდეს დისტანციურ რეჟიმში, მოსწავლეთა ჯგუფები კი დაკომპლექტდეს სხვადასხვა სკოლიდან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საშუალო საფეხურზე მოიაზრებს სასწავლო პროცესის მოსწავლის ინტერესებზე მორგების მეტ შესაძლებლობას.

22. რატომ არის სასურველი მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება?

ახალი საშუალო საფეხურის დანერგვა გულისხმობს ცვლილებებს როგორც სკოლის გამოსაშვებ, ისე უმაღლესში მისაღებ სისტემაში. როგორი შეიძლება იყოს ახალი საგამოცდო სისტემა, ამ ეტაპზე დისკუსიის საგანია. თუმცა, ფაქტია, რომ საჭიროა სკოლის როლის გაძლიერება და მოსწავლეთა ყოველწლიური მიღწევების ამსახველი მასალების მეტად გამოყენება. მოსწავლეთა პორტფოლიო არის სივრცე, რომელშიც შეიძლება განთავსდეს სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები და პროექტები.